ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4257543

ნომერი: AR1642228

თარიღი : 06.11.2018

გაცემის თარიღი : 09.11.2018

გაცნობის თარიღი : 12.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N N12 ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ვაშაკიძე პ/ნ 01010004561
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 179 კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
-მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: განმარტეთ საპროექტო ბაქნის მიზნობრიობა.
-განიმარტოს ვინ არის დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით. სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაძლებელია უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. თუ სამსახურს მომართავს საპროექტო ფართის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.
გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ასევე ვინაიდან ობიექტი მშენებარეა საჭიროების შემთხვევაშ არმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის დამკვეთის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.